ლიეტუვა

- სახმელეთო ამანათის საქართველოში გამოსაგზავნად მიღება ხორციელდება ლიეტუვას ქალაქ **ვილნიუსსა და კაუნასში** არსებულ შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების ოფისში.
- ლიეტუვადან საქართველოს მიმართულებით სახმელეთო ამანათის **გაგზავნის ღირებულება** დგინდება აგენტის მიერ.
- სახმელეთო ამანათის ლიეტუვადან საქართველოს მიმართულებით გაგზავნა ხორციელდება **ორშაბათ დღეს.**
- სახმელეთო ამანათის საქართველოში ტრანსპორტირების ვადაა გამოგზავნიდან **არაუმეტეს 5-8 სამუშაო დღე.**
- გამგზავნს უფლება არ აქვს სახმელეთო ამანათით გააგზავნოს ის ნივთები და საქონელი, რომელთა გაგზავნაც **აკრძალულია** როგორც გამგზავნი, ისე ტრანზიტული და საქართველოს კანონმდებლობით. სახმელეთო ამანათით ასევე იკრძალება მსხვრევადი ნივთების (მათ შორის ტელევიზორი; ჭურჭელი და სხვა) გაგზავნა;
- გზავნილის **სათანადოდ შეფუთვაზე** პასუხისმგებელია გამგზავნი. გზავნილი უნდა შეიფუთოს იმგვარად, რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის დაზიანება ტრანსპორტირების დროს, აგრეთვე ასეთმა შეფუთვამ არ უნდა დააზიანოს სხვა გზავნილები ტრანსპორტირების დროს და არ უნდა შეუქმნას პრობლემები პირებს, რომლებიც განახორციელებენ გზავნილების შემდგომ დამუშავებას, ტრანსპორტირებას თუ დასაწყობებას.
- სახმელეთო ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება გზავნილზე დატანილი ადრესატის მისამართის/ინდექსის მომსახურე სერვისცენტრებსა და კონტრაქტორ ოფისებში.

  გთხოვთ გაითვალისწინოთ, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს, შეცვალოს ამანათის ჩაბარების ადგილი და ის გააგზავნოს იმავე რეგიონის/რაიონის/უბნის ფარგლებში არსებულ სხვა სერვისცენტრსა თუ კონტრაქტორ ოფისში.

- **ლიეტუვაში არსებული შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების გაცემის პუნქტების მისამართები და სამუშაო საათები:**

ქალაქი	გაცემის პუნქტი	ტელეფონის ნომერი	სამუშაო საათები
ვილნიუსი/Vilnius	Ozo g.18 , 08243 Vilnius	**+37128797134**	**პარასკევი-**10:00სთ-დან-18:00სთ-მდე **შაბათი -** 10:00სთ-დან-18:00სთ-მდე
კაუნასი/Kaunas	Agronomijos g.55, 47460 Kaunas	**+37128797134**	**პარასკევი-**10:00სთ-დან-16:00სთ-მდე **შაბათი -** 10:00სთ-დან-16:00სთ-მდე